5-39-55-72-60

ხელშეკრულება №23/09/15
აუდიტორული მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 23 სექტემბერი 2015 წელი

შპს „რიალ აუდიტი" (შემდგომში „შემსრულებელი"), მისი დირექტორის ამირან არსენაშვილის სახით, ერთის მხრივ და ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასაპორტო დაწესებულებათა გაერთიანება მისი დირექტორი მანანა ხაჩიძის სახით, (შემდგომში „დამკვეთი") ვმოქმედებთ რა ჩვენს ორგანიზაციათა წესდებით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ა.(ა).ი.პ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასაპორტო დაწესებულებათა გაერთიანების 2014 წლის ფინანსური საქმიანობის აუდიტორული შემოწმება (GPV792120000).

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. „შემსრულებელი" ვალდებულია:

– კვალიფიციურად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

– დაიცვას აუდიტორული საქმიანობის ეთიკა, ასევე კონფიდენციალობა „დამკვეთის" მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. არ გამოიყენოს ისინი თავისი ან მესამე პირის ინტერესებისათვის. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით „კონფიდენციალურია ინფორმაცია", რომელიც ცნობილი გახდა „შემსრულებლისათვის" ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, შეეხება მხარეთა შორის ანგარიშსწორებას, „დამკვეთის" საქმიანობას, ასევე ის, რასაც „დამკვეთი" განიხილავს კონფიდენციალურად და არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის წერილობითი ან ზეპირი ფორმით. კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ დებულებათა მოქმედება უვადოა;

2.2. „შემსრულებელს" უფლება აქვს:

–დამოუკიდებლად განსაზღვროს მომსახურების ფორმები და მეთოდები, მოიწვიოს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად. მოწვეულ სპეციალისტებზე კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ დებულებათა მოქმედება ვრცელდება იმგვარად, როგორც „შემსრულებელზე".

2.3. „დამკვეთი" ვალდებულია:

–შეუქმნას „შემსრულებელს" მუშაობისათვის (მომსახურებისათვის) ხელსაყრელი პირობები;

–ადგილზე მიაწოდოს მას ყველა აუცილებელი დოკუმენტი, გაუწიოს აუცილებელი დახმარება აუდიტის ჩატარებაში;

– საექსპერტო-აუდიტორული შემოწმებისათვის საჭირო ყველა მასალა, რომელთა სისრულესა და უტყუარობაზეც „დამკვეთი“ პასუხისმგებელია, დოკუმენტური სახით, დროულად (მოთხოვნიდან არაუგვიანეს მეორე დღისა) წარუდგინოს „შემსრულებელს“ და მისცეს მას ამომწურავი და უტყუარი ახსნა-განმარტება მისი საქმიანობის ყველა იმ საკითხზე, რომელიც წამოიჭრება „შემსრულებლის“ მიერ ვალდებულების შესრულების პროცესში;

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. „შემსრულებელი“პასუხს აგებს მის მიერ გაწეულ მომსახურების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;

3.2. „შემსრულებლის“ მიერ, თავისი მიზეზით მომსახურების გაწევის ვადის დარღვევისათვის, იგი დაჯარიმდება სახელშეკრულებო თანხის 0,1 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

3.3. „დამკვეთი” პასუხს აგებს „შემსრულებლისათვის” წარდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე, შეგნებული დარღვევისა და მის შეცდომაში შეყვანისათვის;

3.4. „დამკვეთის“ მიერ მომსახურების ღირებულების არათავისდროული გადახდისათვის, იგი ჯარიმდება გადაუხდელი თანხის 0,1 %-ით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. ხელშეკრულების მოქმედების პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების პირობების სრულ ამოწურვამდე.

4.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით;

4.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლისას, ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ, მხარეები ასრულებენ ერთმანეთის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას;

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 სამუშაოს ღირებულება სახელშეკრულებოა და განისაზღვრება 800 (რვაასი) ლარით, საქართველოში მოქმედი საბიუჯეტო გადასახადების ჩათვლით.

5.2. „დამკვეთი“ ვალდებულია წინმდებარე ხელშეკრულების შესრულებიდან 10 დღის ვადაში „შემსრულებელს“ ჩაურიცხოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა სრულად.

5.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო წესით;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება (სამუშაო) სრულად დამთავრებულად ითვლება აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის და მიღებაჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7. სხვა პირობები

7.1. არცერთ მხარეს არ შეუძლია გადასცეს თავისი უფლება-მოვალეობანი მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

7.2. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება, დამატება ან/და დანართი იურიდიული ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი გაფორმებულია წერილობითი ფორმით.

7.3. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო მოლაპარაკების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით.

7.4. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, რომელიც გადაეცემა თითოეულ მხარეს.

8. მხარეთა რეკვიზიტები

8.1. „შემსრულებლის" რეკვიზიტები:
შემსრულებელი" შპს „რიალ აუდიტი"
ქ.თბილისი, ნიქოძის ქ.6/17 ს.კ.204566996
ს.ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი №TBCBGE22
ა.ნ №GE13TB7251136089100005
დირექტორი ა. არსენაშვილი

8.2. „დამკვეთის" რეკვიზიტები:
ა.(ა).ი.პ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
ს/კ 436036371 ქ. მცხეთა აღმაშენებლის ქ N73
ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი
ა/ნ GE19LB0115119649324000
გენ დირექტორი მ. ხაჩიძე